



მწვანე ობლიგაციის პრინციპები



2017

თარგმანი მომზადებულია საინფორმაციო მიზნებისთვის. გაურკვევლობის თავიდან ასაცილებლად აღვნიშნავთ, რომ მწვანე ობლიგაციების პრინციპების ოფიციალურ დოკუმენტს წარმოადგენს მხოლოდ ინგლისურ ენაზე არსებული ვერსია, რომელიც გამოქვეყნებულია ICMA-ს ვებგვერდზე



2 ივნისი 2017

Georgian language translation courtesy of the
National Bank of Georgia and review by TBC Capital



The Green Bond Principles 2017

მწვანე ობლიგაციების გამოშვების ნებაყოფლობითი გზამკვლევი

შესავალი

მწვანე ობლიგაციების ბაზარი მიზნად ისახავს განსაზღვროს და განავითაროს კაპიტალის ბაზრის როლი ისეთი პროექტების დაფინანსებაში, რომელთაც წვლილი შეაქვთ გარემოსდაცვითი მდგრადობის უზრუნველყოფაში. მწვანე ობლიგაციის პრინციპები (მოპ) ხელს უწყობს მწვანე ობლიგაციების ბაზრის მთლიანობას ისეთი გზამკვლევის საშუალებით, რომელიც რეკომენდაციას უწევს გამჭვირვალობას, ინფორმაციის საჯაროობასა და ანგარიშგებას. მოპ-ი ბაზრის მონაწილეებისთვისაა განკუთვნილი და მიზნად ისახავს უზრუნველყოს ისინი მწვანე პროექტებში კაპიტალის განთავსებისათვის საჭირო ინფორმაციით. მოპ-ის მიზანია დაეხმაროს ემიტენტებს გახადონ თავიანთი ბიზნეს მოდელი გარემოსდაცვითი მდგრადობაზე უფრო მეტად ორიენტირებული, ძირითადად, ობლიგაციებიდან მიღებული შემოსავლების კონკრეტულ პროექტებში მიზანმიმართვით.

ობლიგაციების გამოშვება მოპ-ის მიხედვით ნიშნავს ინვესტიციის განხორციელებას ისეთ პროექტში, რომელსაც ცხადი მწვანე მახასიათებლები აქვს. რეკომენდაციას უწევს რა ემიტენტებს მოახდინონ მწვანე ობლიგაციის შემოსავლების გამოყენების ანგარიშგება, მოპ მხარს უჭერს გამჭვირვალობის მუდმივ ზრდას, რაც გაამარტივებს გარემოსდაცვით პროექტებში ფულადი სახსრების მოძრაობის მონიტორინგს და ამავე დროს გააუმჯობესებს მათი ზემოქმედების შეფასებასაც.

მწვანე ობლიგაციების პრინციპები მწვანე პროექტების კატეგორიების მხოლოდ ზოგად ჩამონათვალს მოიცავს, რაც გამომდინარეობს იქიდან, რომ გარემოსდაცვითი საკითხების გარშემო არსებული მოსაზრებები საკმაოდ მრავალფეროვანია და მათი ზემოქმედების ანალიზი ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია. ამავე დროს, მწვანე ობლიგაციების პრინციპები, საჭიროების შემთხვევაში, ითვალისწინებენ მესამე მხარის გამოცდილებას, მათ მიერ შემოთავაზებულ დამატებით განმარტებებს, სტანდარტებსა და კლასიფიკაციას, რათა განისაზღვროს პროექტების გარემოსდაცვითი მდგრადობა. მოპ-ი რეკომენდაციას უწევს ბაზრის ყველა მონაწილეს გამოიყენონ მწვანე ობლიგაციის პრინციპები საკუთარი პრაქტიკის შემუშავებისას, და საჭიროების შემთხვევაში მიუთითონ სხვა დამატებითი შესაბამისი კრიტერიუმები.

მწვანე ობლიგაციის პრინციპები სარეკომენდაციო ხასიათისა და შემუშავებულია ერთობლივად, მოპ-ის წევრებისა და ფართო საზოგადოების ჩართულობით, მათ შორის დამკვირვებლებისაც. მის კოორდინაციას ახორციელებს აღმასრულებელი კომიტეტი. კომიტეტის შემადგენლობის განახლება, როგორც წესი, ხდება ყოველწლიურად, რაც საერთაშორისო მწვანე ობლიგაციების ბაზრის ზრდასა და განვითარებაზე მიუთითებს.

მწვანე ობლიგაციების პრინციპების (მოპ) 2017 წლის გამოშვება

მწვანე ობლიგაციების პრინციპების ეს გამოცემა ეფუძნება 2016 წლის შემოდგომაზე მოპ-ის წევრებსა და დამკვირვებლებს შორის გამართულ კონსულტაციებს. ასევე, კონსულტაციაზე გაჟღერებულ ძირითად საკითხებზე მოპ-ის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ კოორდინირებული სამუშაო ჯგუფების რეკომენდაციებს. ხაზი გაესვა სამუშაო ჯგუფების გაფართოების საკითხს, მოპ-ის აღმასრულებელ კომიტეტს მიღმა, შესაბამისი გამოცდილების მქონე მოპ-ის წევრებითა და დამკვირვებლებით. ეს სიახლე ეხმიანება მწვანე ობლიგაციებით დაინტერესებულ მხარეთა ზრდასა და ბაზრის განვითარების მიმდინარე ტენდენციებს.

2017 წელს შეტანილი ცვლილებები კვლავ ექცევა უცვლელი ოთხი ძირითადი კომპონენტის ჩარჩოებში (შემოსავლების გამოყენება, პროექტის შეფასებისა და შერჩევის პროცესი, შემოსავლების მართვა და ანგარიშგება). გარდა ამისა, ეს გამოცემა ასევე განაგრძობს იმის ხაზგასმას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ემიტენტის მოკ-თან შესაბამისობის დადგენისა და გარე ექსპერტის შეფასების მიღებისას რეკომენდირებული შაბლონების გამოყენება, რომლებიც ხელმისაწვდომია რესურსების ცენტრის ვებგვერდის შემდეგ მისამართზე: www.icmagroup.org/resourcecentre. ზოგადად, 2017 წლის გამოცემა მოკ-ის მზარდი დახვეწილობის მაჩვენებელია და 2016 წლის გამოცემასთან შედარებით უმნიშვნელო ცვლილებებს მოიცავს.

მწვანე ობლიგაციების პრინციპების 2017 წლის გამოცემაში განახლებულია შესავალი. ასევე განახლებულია და შევსებულია შემოსავლების განაწილების თავში შემავალი მწვანე პროექტების კატეგორიები. შემოტანილია ახალი ფორმულირებები, რომელიც მიზნად ისახავს ბოლოდროინდელი სიახლეების, მათ შორის სახელმწიფო მწვანე ობლიგაციების გამოშვებასთან დაკავშირებული ცვლილებების, ასახვას. გარკვეული დაზუსტებები იქნა გაკეთებული ემიტენტების მიერ პროექტის შეფასებისა და შერჩევის, და შემოსავლების მართვის პროცესის კომუნიკაციასთან დაკავშირებით. გზამკვლევის 2017 წლის აღნიშნულ განახლებასთან ერთად შემუშავდა დამატებითი რეკომენდაციები გარემოზე ზემოქმედების ანგარიშების უზრუნველსაყოფად, რომლებიც შეიცავს წყლის მდგრადი პარამეტრებისა და ჩამდინარე (გამოყენებული) წყლების პროექტებს.

მწვანე ობლიგაციის განმარტება

მწვანე ობლიგაციები არის ობლიგაციები, რომლიდანაც მიღებული შემოსავლები ექსკლუზიურად გამოიყენება ახალი ან/და არსებული მწვანე პროექტების ნაწილობრივ ან სრულად დასაფინანსებლად ან რეფინანსირებისთვის (იხილეთ თავი 1 - შემოსავლების გამოყენება) და შესაბამისობაშია მოკ-ის ოთხ ძირითად კომპონენტთან. ბაზარზე არსებობს სხვადასხვა ტიპის მწვანე ობლიგაციები, რომლებიც დანართ 1-შია განხილული.

მიიჩნევა, რომ ზოგიერთ მწვანე პროექტს თან ახლავს სოციალური სარგებელი და ობლიგაციის როგორც მწვანე ობლიგაციად კლასიფიცირება უნდა მოხდეს თავად ემიტენტის მიერ პროექტის ძირითადი მიზნებიდან გამომდინარე. (ობლიგაციას, რომელიც შეგნებულად აერთიანებს სოციალურ და მწვანე პროექტებს, მდგრადი განვითარების ობლიგაციად მიიჩნევენ და შესაბამისი რეკომენდაციები ცალკე გზამკვლევშია წარმოდგენილი: **Sustainability Bond Guidelines**).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს რომ ობლიგაციები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ მწვანე ობლიგაციების პრინციპების (მოკ) ოთხ ძირითად კომპონენტს, არ უნდა იქნეს მიჩნეული მწვანე ობლიგაციების ექვივალენტურად.

მწვანე ობლიგაციის პრინციპები

მწვანე ობლიგაციის პრინციპები (მოკ) ნებაყოფლობითი პროცესის გზამკვლევაა, რომელიც რეკომენდაციას უწევს ინფორმაციის საჯაროობასა და გამჭვირვალობას და მწვანე ობლიგაციების გამოშვების მეთოდის განმარტებით, ხელს უწყობს მწვანე ობლიგაციის ბაზრის განვითარებასა და ერთიანობას. მოკ-ი გამიზნულია ბაზრის მიერ ფართო გამოყენებისთვის: იგი ემიტენტებს უზრუნველყოფს გზამკვლევით სანდო მწვანე ობლიგაციის გამოშვებისთვის საჭირო ძირითადი კომპონენტების შესახებ; საჭირო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით, მოკ-ი ეხმარება ინვესტორებს მოახდინონ თავიანთი მწვანე ინვესტიციის დადებითი გარემოსდაცვითი ეფექტების შეფასება; მოკ-ი ასევე ეხმარება ანდერრაიტერებს ბაზრის ინფორმაციის გასაჯაროების სტანდარტებზე გადასვლით, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ტრანზაქციების ზრდას.

მწვანე ობლიგაციების პრინციპები იძლევა რეკომენდაციას, რომ ემიტენტებმა უზრუნველყონ მწვანე ობლიგაციების გამოშვების პროცესის გამჭვირვალობა და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის საჯაროობა, რაც ინვესტორებს, ბანკებს, საინვესტიციო ბანკებს, ანდერრაიტერებს, და სხვა შუამავლებს საშუალებას მისცემს გაიგონ მოცემული მწვანე ობლიგაციის მახასიათებლები. მოკ-ი ხაზს უსვამს იმ ინფორმაციის გამჭვირვალობის, სიზუსტის და მთლიანობის აუცილებლობას, რომელსაც ემიტენტი დაინტერესებულ მხარეებს წარუდგენს.

მწვანე ობლიგაციის პრინციპები შედგება ოთხი ძირითადი კომპონენტისაგან:

1. ობლიგაციის ემისიიდან მიღებული თანხების მიზნობრივი გამოყენება
2. პროექტის შეფასებისა და შერჩევის პროცესი
3. ობლიგაციის ემისიიდან მიღებული თანხების მართვა
4. ანგარიშგება

1. ობლიგაციის ემისიიდან მიღებული თანხების მიზნობრივი გამოყენება

მწვანე ობლიგაციების მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ობლიგაციებიდან მიღებული შემოსავლები გამოიყენება მწვანე პროექტების დასაფინანსებლად (მათ შორის ისეთი დამხმარე ხარჯების დასაფარავად, როგორც კვლევა და განვითარება (R&D)) რაც, თავის მხრივ, ფასიანი ქაღალდების სამართლებრივ დოკუმენტაციაში ნათლად უნდა იყოს აღწერილი. ყველა მწვანედ მიჩნეულ პროექტს უნდა გააჩნდეს მკაფიო გარემოსდაცვითი სარგებელი, რომელსაც ემიტენტი შეაფასებს თვისობრივი, ხოლო, სადაც შესაძლებელია, რაოდენობრივი მახასიათებლებით.

იმ შემთხვევაში თუ შემოსავლები მთლიანად ან ნაწილობრივ ხმარდება, ან შეიძლება მოხმარდეს რეფინანსირებას, მაშინ ემიტენტებისთვის რეკომენდირებულია წარმოადგინონ იმის შეფასება თუ როგორია ფარდობა დაფინანსებასა და რეფინანსირებას შორის, და სადაც შესაძლებელია, აჩვენონ რომელი ინვესტიციები ან პროექტის პორტფელი შეიძლება რეფინანსირდეს. ასევე რეკომენდირებულია, ემიტენტმა მიუთითოს დროის მონაკვეთი წარსულში, როდესაც მოხდა რეფინანსირებული პროექტების რეალიზაცია.

მოპ-ი ცალსახად განსაზღვრავს მწვანე პროექტის რამდენიმე ფართო კატეგორიას, იმ მიზნით რომ მოიცვას ისეთი ძირითადი გარემოსდაცვითი საკითხები, როგორც კლიმატის ცვლილება, ბუნებრივი რესურსების ამოწურვა, ბიომრავალფეროვნების დაკარგვა, ჰაერის, წყლისა ან ნიადაგის დაბინძურება.

ქვემოთ მოცემული სია გასაცნობი ხასიათისაა და მოიცავს ყველაზე ფართოდ გამოყენებად პროექტის

სახეობებს, რომლებიც ფინანსდება, ან შეიძლება დაფინანსდეს მწვანე ობლიგაციის ბაზრის მიერ. მწვანე პროექტები შესაძლოა მოიცავდეს ერთზე მეტ კატეგორიას. შემდეგი სია დალაგებული არ არის რაიმე წესის მიხედვით და მოიცავს, მაგრამ არაა შეზღუდული შემდეგი კატეგორიებით:

- განახლებადი ენერჯია (მათ შორის გენერაცია, გადაცემა, მოწყობილობები და პროდუქტები);
- ენერგოეფექტურობა (მაგალითად ენერგოეფექტურობა ახალ და განახლებულ შენობებში, ენერჯის შენახვა, ცენტრალური გათბობა, „სმარტ“ ქსელები, მოწყობილობები და პროდუქტები);
- გარემოს დაბინძურების პრევენცია და კონტროლი (მოიცავს ჩამდინარე წყლების დამუშავებას, გამონაბოლქვის შემცირებას, სათბური გაზების კონტროლს, ნიადაგის აღდგენას, დანაკარგების პრევენციას, ნარჩენების შემცირებას, ნარჩენების ეფექტიან გადამუშავებას ელექტრო ენერჯიად, დამატებული ღირებულების მქონე პროდუქტების შექმნას ნარჩენებისგან და მათ გადამუშავებას, და მასთან ასოცირებულ გარემოსდაცვით მონიტორინგს);
- ცოცხალი ბუნებრივი რესურსების და მიწის გამოყენების მდგრადი გარემოსდაცვითი მენეჯმენტი (მათ შორის მდგრადი გარემოსდაცვითი სოფლის მეურნეობა და მეცხოველეობა; კლიმატისთვის უსაფრთხო სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების, მაგალითად ბიოლოგიური კულტურების დამცავების ან წვეთოვანი ირიგაციული სისტემების დანერგვა; ეკოლოგიურად სუფთა თევზჭერა და აკვაკულტურა; მდგრადი გარემოსდაცვითი მეტყვეობა, მათ შორის ტყის გაშენება ან ტყის მასივის აღდგენა, ბუნებრივი ლანდშაფტების შენარჩუნება ან აღდგენა);
- ხმელეთისა და წყლის ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია (აქ მოისაზრება სანაპიროს, ზღვის და წყალგამყოფების გარემოპირობების დაცვა);
- ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტის საშუალებები (როგორცაა ელექტრო, ჰიბრიდული, საზოგადოებრივი, სარკინიგზო, უმატორო და მულტიმოდალური ტრანსპორტის საშუალებები, ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტის საშუალებებისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურა, და მავნე გამონაბოლქვის შემცირება);

- ჩამდინარე წყლებისა და ზოგადად წყლების მდგრადი მართვა (მოიცავს სუფთა ან/და სასმელი წყლის მდგრად ინფრასტრუქტურას, ჩამდინარე წყლების დამუშავებას, მდგრად ურბანულ სადრენაჟო სისტემებს, მდინარის კალაპოტის რეგულირებას და დატბორვის საწინააღმდეგო სხვა მეთოდებს);
- კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია (მოიცავს ინფორმაციით უზრუნველყოფის სისტემებს, როგორცაა კლიმატზე დაკვირვებისა და ადრეული გაფრთხილების სისტემები);
- ეკო-ეფექტური ან/და წრიულ წარმოებასთან (circular economy) ადაპტირებული პროდუქტები, წარმოების ტექნოლოგია და პროცესები (როგორცაა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების დანერგვა და განვითარება, რომელსაც დართული ექნება ეკო-ნიშანი ან ეკოლოგიური სერთიფიკატი, რესურსის დამზოგველი შეფუთვა და განაწილება);
- მწვანე შენობები, რომელიც აკმაყოფილებს რეგიონულ, ეროვნულ ან საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს ან სერტიფიცირების მოთხოვნებს.

მწვანე ობლიგაციების პრინციპის მიზანი არაა დააფიქსიროს პოზიცია იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი მწვანე ტექნოლოგია, სტანდარტი, მოთხოვნა ან დეკლარაციაა ოპტიმალური მდგრადი გარემოსდაცვითი სარგებლისთვის, თუმცა ემიტენტებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ მიმართონ მაგალითებს, რომლებიც ხელმისაწვდომია რესურსების ცენტრის (Resource Center) ვებგვერდის შემდეგ მისამართზე: www.imcagroup.org/resourcecentre. გარდა ამისა არსებობს ბევრი ინსტიტუტი, რომელიც ამზადებს სხვადასხვა მწვანე და გარემოსდაცვითი საქმიანობის ხარისხის დამოუკიდებელ ანალიზს, რეკომენდაციასა და გზამკვლევს. ზოგადად 'მწვანე' ან მწვანე პროექტის განმარტება შეიძლება განსხვავდებოდეს სხვადასხვა სექტორისა და გეოგრაფიული ადგილის მიხედვით.

2. პროექტის შეფასების და შერჩევის პროცესი

მწვანე ობლიგაციის ემიტენტმა ინვესტორს ცხადად უნდა გააცნოს შემდეგი საკითხები:

- მდგრადი გარემოსდაცვითი მიზნები;

- პროცედურა, რომლის მიხედვითაც ემიტენტი განსაზღვრავს პროექტების შესაბამისობას მწვანე პროექტების ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიებთან;
- შესაბამისი საკვალიფიკაციო კრიტერიუმები, მათ შორის, გამორიცხვის კრიტერიუმი თუ ამას საჭიროება მოითხოვს ან რაიმე სხვა პროცედურები, რომელიც გამოიყენება პროექტებთან დაკავშირებული პოტენციური მატერიალური გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების შეფასებასა და მართვაში.

ემიტენტებისთვის რეკომენდირებულია განათავსონ ეს ინფორმაცია გარემოსდაცვით მდგრადობასთან დაკავშირებული ემიტენტის ყოვლისმომცველი მიზნების, სტრატეგიის, პოლიტიკის და/ან პროცესების კონტექსტში. ემიტენტებისთვის ასევე რეკომენდირებულია, გაასაჯაროონ ნებისმიერი სახის მწვანე სტანდარტები ან სერტიფიცირების ნორმები, რომელსაც პროექტის შერჩევისას მიმართავენ.

მწვანე ობლიგაციის პრინციპები მიესალმება მაღალი დონის გამჭვირვალობას და რეკომენდაციას უწყევს ემიტენტებს პროექტის შეფასებისა და შერჩევის პროცესში გამოიყენონ გარე ექსპერტის შეფასებები (იხილეთ გარე ექსპერტის შეფასების თავი).

3. ობლიგაციის ემისიიდან მიღებული თანხების მართვა

ემიტენტმა მწვანე ობლიგაციის ემისიიდან მიღებული წმინდა შემოსავლები ან ამ წმინდა შემოსავლის ექვივალენტი თანხა უნდა ჩარიცხოს ცალკე ანგარიშზე, გადაიტანოს ცალკე პორტფელში ან განკარგოს სხვა შესაბამისი წესით, რაც დამოწმებული უნდა იქნეს ემიტენტის მიერ იმ შიდა პროცედურების გამოყენებით რომელიც დაკავშირებულია მწვანე პროექტების სასესხო და საინვესტიციო პროცესებთან.

სანამ მწვანე ობლიგაცია არ დაიფარება, პერიოდულად უნდა მოხდეს ობლიგაციის ემისიიდან მიღებული თანხის რედაქტირება რათა შესაბამისობაში მოვიდეს იმ პერიოდში არსებული მწვანე ობლიგაციების ფინანსების განაწილებასთან. ემიტენტმა ინვესტორებს უნდა აცნობოს თუ სად მოხდება გაუნაწილებელი შემოსავლების დროებით განთავსება.

მწვანე ობლიგაციების პრინციპები (მოპ) მიესალმება მაღალი დონის გამჭვირვალობას და რეკომენდაციას უწევს ემიტენტს ობლიგაციების ემისიიდან მიღებული შემოსავლის მართვისას გამოიყენონ აუდიტორი ან სხვა მესამე მხარე, რათა გადამოწმდეს შიდა აღრიცხვის მეთოდი და მწვანე ობლიგაციების ემისიიდან მიღებული შემოსავლების განაწილება (იხილეთ გარე ექსპერტის შეფასების თავი).

4. ანგარიშგება

ემიტენტებმა, მუდმივად უნდა იქონიონ და მოთხოვნის შემთხვევაში ხელმისაწვდომი გახადონ უახლესი ინფორმაცია ობლიგაციის ემისიიდან მიღებული შემოსავლების გამოყენების შესახებ, რომელიც უნდა განახლდეს ყოველწლიურად შემოსავლების სრულ განაწილებამდე და საჭიროების შემთხვევაში, შემდგომშიც მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში. ინფორმაცია უნდა მოიცავდეს იმ პროექტების სრულ ჩამონათვალს, სადაც მოხდა მწვანე ობლიგაციის ემისიიდან მიღებული შემოსავლების გამოყენება, ასევე ამ პროექტების მოკლე დახასიათებას, თანხების გადაანაწილებასა და პროექტის მოსალოდნელ ზემოქმედებას. თუ კონფედენციალური შეთანხმებების, კონკურენტული მოსაზრებების, ან პროექტების მრავალრიცხოვნების გამო, ინფორმაციის დეტალურად გამოქვეყნება შეუძლებელია, მაშინ მწვანე ობლიგაციების პრინციპები (მოპ) რეკომენდაციას უწევს, ინფორმაციის გამოქვეყნებას ზოგადი ტერმინების საშუალებით, ან აგრეგირებული პორტფელის საფუძველზე (მაგალითად, მთლიანი შემოსავლის რამდენი პროცენტი დაიხარჯა კონკრეტული პროექტის კატეგორიაზე).

პროექტის მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ინფორმაციის მიწოდებისას, გამჭვირვალობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მოპ-ი რეკომენდაციას უწევს ხარისხობრივი ინდიკატორების გამოყენებას, და სადაც შესაძლებელია, რაოდენობრივი ინდიკატორების გამოყენებასაც (მაგალითად, ენერჯო-სიმძლავრე, ელექტროენერჯის გენერაცია, სათბური გაზების გამონაბოლქვის შემცირება/თავიდან აცილება, ადამიანთა რაოდენობა რომელთაც წვდომა აქვთ სუფთა ენერჯიაზე, წყლის მოხმარების შემცირება, საჭირო ავტომობილების რაოდენობის შემცირება და ა.შ.) და ასევე, რაოდენობრივი

შეფასებისას გამოყენებული ძირითადი მეთოდოლოგიის ან/და დაშვებების შესახებ ინფორმაციის საჯაროდ მიწოდებას. იმ შემთხვევაში თუ ემიტენტს შეუძლია პროექტის ზემოქმედების მონიტორინგი, მაშინ სასურველია ეს ინფორმაცია შეიტანოს რეგულარულ ანგარიშში.

არსებობს ნებაყოფლობითი გზამკვლევები, რომელიც მიზნად ისახავს ზემოქმედების ანგარიშგებისთვის ერთიანი პრინციპების შემქნას ენერჯოეფექტურობის, განახლებადი ენერჯის, წყლისა და ჩამდინარე წყლების პროექტებისთვის (აღნიშნული დოკუმენტები ხელმისაწვდომია რესურსების ცენტრს ვებგვერდის შემდეგ მისამართზე: www.icmagroup.org/resourcecentre). გზამკვლევები მოიცავს ზემოქმედების ანგარიშგების ფორმატის შაბლონებს პროექტისა და პორტფელის დონეზე, რომლის ცვლილებაც ემიტენტებს შეუძლიათ საკუთარი საჭიროების მიხედვით. მწვანე ობლიგაციის პრინციპები მიესალმება ინიციატივებს, რომლებიც ხელს შეუწყობს ინფორმაციის დამატებითი წყაროების შემქნას პროექტების ზემოქმედების ანგარიშგებისთვის, რომელთა ათვისება ან/და ადაპტაცია მოახდება საჭიროებების მიხედვით. გზამკვლევები სხვა დამატებითი სექტორებისთვის შემუშავების პროცესშია.

შემაჯამებელი დოკუმენტის არსებობა, რომელიც ასახავს მწვანე ობლიგაციის ან მწვანე ობლიგაციის პროგრამის მნიშვნელოვან მახასიათებლებს და მწვანე ობლიგაციების პრინციპების (მოპ) ოთხ ძირითად კომპონენტთან შესაბამისობას, შეიძლება ბაზრის მონაწილეებს დაეხმაროს ინფორმაციის მიღებაში. ამ მიზნით, შეჯამების შაბლონები ხელმისაწვდომია რესურსების ცენტრის ვებგვერდის შემდეგ მისამართზე: www.icmagroup.org/resourcecentre, რომელიც შევსების შემდეგ შესაძლოა გამოქვეყნდეს საჯაროდ (იხილეთ რესურსების ცენტრის თავი ქვემოთ).

გარე ექსპერტის შეფასება

ემიტენტებისთვის რეკომენდირებულია გარე ექსპერტის შეფასების გამოყენება მათ მიერ გამოშვებული მწვანე ობლიგაციების ზემოთ აღწერილი მწვანე ობლიგაციების პრინციპების ძირითად მახასიათებლებთან შესაბამისობის დასამოწმებლად. არსებობს სხვადასხვა გზა, რომელთა მეშვეობით ემიტენტებს შეუძლიათ მიიღონ გარე დახმარება მწვანე ობლიგაციებთან დაკავშირებული შიდა პროცედურების ფორმულირებისთვის. ასევე არსებობს შეფასების რამდენიმე დონე და სახეობა, რომლებიც შეიძლება მიეწოდოს ბაზარს. ამგვარი სტანდარტები და გარე ექსპერტის შეფასებები შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:

- 1) კონსულტანტის შეფასება: ემიტენტს შეუძლია შეფასებისთვის მიმართოს კონსულტანტებს ან/და ინსტიტუტებს, რომელთაც გააჩნიათ აღიარებული ექსპერტიზა გარემოსდაცვითი მდგრადობის ან მწვანე ობლიგაციების ემისიასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებში, როგორცაა ემიტენტისთვის მწვანე ობლიგაციების ჩარჩოს ჩამოყალიბება/შეფასება. ამავე კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოს „მეორე მხარის შეხედულებები“.
- 2) დამოწმება: ემიტენტს შეუძლია მოახდინოს საკუთარი მწვანე ობლიგაციების, მწვანე ობლიგაციების ემისიის ჩარჩოს ან მათთან დაკავშირებული აქტივების შესაბამისობის დამოწმება ბაზრის კვალიფიციური მონაწილის მიერ, როგორცაა აუდიტორი. სერტიფიცირებისგან განსხვავებით, დამოწმება შეიძლება ორიენტირებული იყოს შიდა სტანდარტებთან ან ემიტენტის მიერ გაცხადებულ პროცედურებთან შესაბამისობის დადგენაზე. დაკავშირებული აქტივების გარემოსდაცვითი მდგრადობის მახასიათებლების შეფასებას შეიძლება ეწოდოს შესაბამისობის შემოწმება და შეიძლება, ეფუძნებოდეს გარე კრიტერიუმებს.
- 3) სერტიფიცირება: ემიტენტს შეუძლია განახორციელოს მწვანე ობლიგაციების, მწვანე ობლიგაციების ემისიის ჩარჩოს ან ემისიის გზით მიღებული შემოსავლების გამოყენების პროცედურების სერტიფიცირება გარე მწვანე შეფასების სტანდარტის მიხედვით. შეფასების სტანდარტი განსაზღვრავს კრიტერიუმებს, რომელთა შესაბამისობასაც ამოწმებს დამოუკიდებელი კვალიფიციური ექსპერტი ან სერტიფიკატორი.

- 4) რეიტინგის მინიჭება: ემიტენტის მწვანე ობლიგაციებს ან მწვანე ობლიგაციების ემისიის ჩარჩოს შეიძლება მიენიჭოს რეიტინგი დამოუკიდებელი კვალიფიციური სუბიექტის მიერ, როგორცაა სპეციალიზებული კვლევითი ცენტრები ან სარეიტინგო სააგენტოები. მწვანე ობლიგაციების რეიტინგები განცალკევებულია ემიტენტის გარემოსდაცვითი, მწვანე და მმართველობითი (ESG) რეიტინგისგან, ვინაიდან ზემოხსენებული, როგორც წესი, ენიჭება ცალკეულ ფასიან ქაღალდებს ან მწვანე ობლიგაციების ემისიის ჩარჩოს/პროგრამას.

გარე ექსპერტის შეფასება შეიძლება იყოს ნაწილობრივი, რომელიც მოიცავს ემიტენტის მწვანე ობლიგაციების ან შესაბამისი მწვანე ობლიგაციების ემისიის ჩარჩოს მხოლოდ გარკვეულ ასპექტებს. ასევე, გარე ექსპერტის შეფასება შეიძლება იყოს სრული, რა შემთხვევაშიც იგი ითვალისწინებს მწვანე ობლიგაციების პრინციპების ოთხივე ძირითად კომპონენტთან შესაბამისობის დადგენას.

მოპ-ის თანახმად, რეკომენდირებულია გარე ექსპერტის შეფასების ან სულ ცოტა მისი მოკლე შეჯამების საჯაროდ გამოქვეყნება, მაგალითად, იმ შაბლონის გამოყენებით, რომელიც ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-მისამართზე: www.icmagroup.org/resourcecentre. შევსების შემდეგ აღნიშნული ფორმა შეიძლება გამოქვეყნდეს ელექტრონულად იმავე მისამართზე მოცემული ინსტრუქციების შესაბამისად (იხილეთ თავი - რესურსების ცენტრი). მწვანე ობლიგაციების პრინციპები გარე შეფასების მწარმოებლებს მოუწოდებს შეფასების ფარგლებში გაამყდონ ინფორმაცია საკუთარი კომპეტენციისა და საჭირო კვალიფიკაციის შესახებ, ასევე ცხადად წარმოადგინონ ჩატარებული შეფასების არეალი.

მოპ-ი ითვალისწინებს, რომ გარე ექსპერტის შეფასების დროითი განრიგი შეიძლება დამოკიდებული იყოს ემისიის შედეგად მიღებული სახსრების გამოყენების ხასიათზე, ხოლო შეფასების გამოქვეყნება შეიძლება იზღუდებოდეს ბიზნესის კონფიდენციალურობის მოთხოვნებით.

რესურსების ცენტრი

რეკომენდირებული შაბლონები და მწვანე ობლიგაციის სხვა მასალები ხელმისაწვდომია რესურსების ცენტრის (Resource Center) ვებგვერდზე შემდეგ მისამართზე:

www.imcagroup.org/resourcecentre. შევსებული

შაბლონები ბაზრის ინფორმირების მიზნით შესაძლებელია გამოქვეყნდეს რესურსების ცენტრის ვებგვერდზე ზემოთ მოცემულ მისამართზე განთავსებული ინსტრუქციის მიხედვით.

პასუხისმგებლობის შეზღუდვის განაცხადი

მწვანე ობლიგაციის პრინციპები არის ნებაყოფლობითი პროცედურების გზამკვლევი და იგი არ წარმოადგენს შეთავაზებას ფასიანი ქაღალდების ყიდვის ან გაყიდვის თაობაზე ან რაიმე სახის (საგადასახადო, სამართლებრივი, გარემოს დაცვითი, სააღრიცხვო ან მარეგულირებელი) რჩევას მწვანე ობლიგაციების ან სხვა ფასიანი ქაღალდების შესახებ. მწვანე ობლიგაციის პრინციპები არ წარმოშობს არც უფლებას, და არც ვალდებულებას, რომელიმე საჯარო ან კერძო პირის მიმართ. ემიტენტები მწვანე ობლიგაციების პრინციპებს ნებაყოფლობით და დამოუკიდებლად ითვისებენ და ნერგავენ, მწვანე ობლიგაციების გზამკვლევაზე ყოველგვარი დამოკიდებულების გარეშე და თავად არიან პასუხისმგებელი მწვანე ობლიგაციების გამოშვების გადაწყვეტილებაზე. მწვანე ობლიგაციების ანდერრაიტერები არ არიან პასუხისმგებელი ემიტენტების მიერ მწვანე ობლიგაციებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის და არც ამ ობლიგაციებიდან მიღებული შემოსავლების არამიზნობრივად გამოყენებისათვის. თუ არსებობს შეუთავსებლობა მწვანე ობლიგაციის პრინციპებსა და შესაბამის კანონებს, დებულებებსა და რეგულატორულ ნორმებს შორის, უპირატესობა ადგილობრივ კანონებს, დებულებებს და ნორმებს მიენიჭება.

დანართი I - მწვანე ობლიგაციის სახეები

ამჟამად არსებობს ოთხი სახის მწვანე ობლიგაცია (ბაზრის განვითარებასთან ერთად, შესაძლებელია, მწვანე ობლიგაციების სახეობების რაოდენობაც გაიზარდოს, რაც მწვანე ობლიგაციების პრინციპების ყოველწლიურ განახლებებში იქნება ასახული):

- ობლიგაციის ემისიიდან მიღებული თანხების სტანდარტული გამოყენების მწვანე ობლიგაცია: მწვანე ობლიგაციის პრინციპების შესაბამისი, სტანდარტული სავალო ვალდებულება ემიტენტის მიმართ მოთხოვნის უფლებით.
- მწვანე შემოსავლის ობლიგაცია: მწვანე ობლიგაციის პრინციპების შესაბამისი, სავალო ვალდებულება ემიტენტის მიმართ მოთხოვნის უფლების არ ქონით, რომლის საკრედიტო რისკიც დაკავშირებულია შემოსავლების, საკომისიოების, გადასახადების და სხვა წყაროებიდან შემოსულ ფულად ნაკადებზე და რომლის ემისიიდან მიღებული შემოსავლები გამოიყენება დაკავშირებულ ან არადაკავშირებულ მწვანე პროექტებში.
- მწვანე პროექტის ობლიგაცია: ემიტენტის მიმართ მოთხოვნის უფლების მქონე ან არ მქონე, მწვანე ობლიგაციის პრინციპების შესაბამისი ობლიგაცია, რომელიც მიმართულია ერთი ან რამდენიმე მწვანე პროექტის დაფინანსებაზე და პროექტებთან დაკავშირებულ რისკზე ინვესტორი თავად აგებს პასუხს.
- მწვანე უზრუნველყოფილი ობლიგაცია: მწვანე ობლიგაციის პრინციპების შესაბამისი ობლიგაცია, რომელიც უზრუნველყოფილია ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მწვანე პროექტით, როგორცაა უზრუნველყოფილი ობლიგაცია, იპოთეკით და აქტივებით უზრუნველყოფილი ფასიანი ქაღალდები და სხვა. გადახდის მთავარი წყაროა აქტივების ფულადი ნაკადები. ასეთი ტიპის ობლიგაციები მოიცავს, მაგალითად, აქტივებით უზრუნველყოფილ მზის პანელების სახურავის ფასიან ქაღალდებს ან/და ენერგოეფექტურ აქტივებს.

შენიშვნა:

უნდა აღინიშნოს რომ ასევე არსებობს ბაზარი ისეთი გარემოსდაცვითი, კლიმატის ან სხვა მსგავსი თემატიკის ობლიგაციების (ზოგიერთ შემთხვევაში მოიხსენიებენ, როგორც "pure play"), რომლებიც გამოშვებულია ძირითადად ან მთლიანად გარემოსდაცვითი მდგრადობის სფეროში მომუშავე ორგანიზაციების მიერ, მაგრამ არ შეესაბამება მწვანე ობლიგაციების პრინციპების ოთხ ძირითად კომპონენტს. ასეთ შემთხვევაში, უნდა მოხდეს ინვესტორების ინფორმირება შესაბამისად, რათა არ მოხდეს ასეთი მწვანე ობლიგაციების მოპ-ის შესაბამის ობლიგაციასთან გაიგივება. ამ ორგანიზაციებისთვის რეკომენდირებულია, სადაც შესაძლებელია, გამოიყენონ მოპ-ის შესაბამისი პროცედურები (მაგ; ანგარიშგება) არსებული გარემოსდაცვითი, კლიმატის ან სხვა სახელით ცნობილი ობლიგაციებისთვის და უზრუნველყონ მომავალი ემისიების შესაბამისობა მწვანე ობლიგაციის პრინციპებთან.



ICMA Paris
Representative Office

62 rue la Boétie
75008 Paris
France

Tel: +33 1 70 17 64 70
Fax: +33 1 49 26 05 71

greenbonds@icmagroup.org
www.icmagroup.org

